მომავალი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 91 სამშაბათი, 15 დეკემბერი 1909 წ. № 91

გაზეთი „მომავალი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებეს ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.

1910 წლისთვის მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთი წლიურათ ეღირება თფილისში და თფილის, გარეთ 7 მან., ნახევარ წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ 14 მ. წლით, ნახევარი წლით 7 მ. ხელის მოწერა მიიღება თფილისში «მომავალი»-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.

ღრმათ დამწუხრებული მართა მარინე, ფოტინე, ფედოსი და ტერეზი, სამუილ ნაკაიძე, გოჯასპირ ბერეჟიანი, გიგო ღლონტი და კირილე კოპლატაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს

მიხეილ ლევანისძე კობალაძის

გარდაცვალებას. პირველი საყვარელი მეუღლის, მეორენი ძვირფასი მამის და მესამენი დაუვიწყარი სიმამრისას. დაკრძალავენ 17 დეკემბერს გურიაში, სოფ. სამების ეკლესიაზე. (2—1)

წარმოდგენა 21. ქართული თეატრი აბონიმენტი 9.

სამშაბათს, 15 დეკემბერს 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა ს. გლახაშვილისა

წუწური

დრამა 4 მოქმედებათ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაცია

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-დე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 მ.-მდე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე; მოწაფეთათვის 50 კ.

დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენათ: „სამეგრელოს მთავარი ლევან“, ინსტეია დეკორაციები, იკერება ტანისამოსი.

მორიგი რეჟისორი ა. შათირიშვილი. რეჟისორის თანშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ვერის სახალხო აუდიტორია

საიუბილეო ოთხშაბათს, 16 დეკემბერს 1909 წ. წარმოდგენა

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულოთ ვერის სახალხო ქართულ სცენის მოყვარენი გამართავენ საიუბილეო წარმოდგენას ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება

ხანუმა

კომედია 4 მოქმედებათ ა. ცაგარლისა

დასაწყისი სალ. 8 საათზე. ბილეთები უკვე იყიდება აუდიტორიის კასაში 5—8 საათ.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს, 26 დეკემბერს.

რეჟისორი გ. იორდანიშვილი.

გლეხი კაცის ისტორია

მიიღება ხელის მოწერა

„გლეხი-კაცის ისტორია“-ზე

ცნობილი თხზულება ერკმან-შატრიანისა. სრული თარგმანი ფრანგულიდან ივ. მაჭავარიანის მიერ, ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

შინაარსი წიგნისა:

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნათ გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ ერთი მანეთი.

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შესწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება იმდენი, რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა, უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი, ვინაიდან ეს წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე; ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (зак. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს. გამოცემის ტექნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

თუ სად და ვისთან მიიღება ხელის მოწერა, ამის შესახებ იხილეთ ცალკე განცხადება, რომელიც «მომავალის“ და „დროების“-ს 6 დეკემბრის ნომრებთან ერთად დაურიგდა ხელის მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія. Кирочная ул. № 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე ვასილ გადილია. (20—8)

ცალობით სავაჭროს განყოფილება

ძმ. ჯაცახოვებისა

მიხეილის პროსპექტი, 18, სახ. შახალოვისა.

დიდი იაფი ვაჭრობა

ცხრა დღით: 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23 შესამჩნევი ფას-დაკლებით ყოველივე საქონელი.

ფასები შეუვაჭრებლათ 3—5—1

ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

ექ. ს. ვაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.
ექ. ი. გომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.
ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.
ექ. ნ. შ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.
ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.
ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.
ექ. ე. გ. ფიდოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—56)

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9. [illegible] ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

კბილის ექიმი

ს, ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დალმართი სახ. 15.

დ ჭიათურაში კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

ფერშალი

ლეონტი ბარკალაია

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება შუადღის 3—6 საათამდე.

ადრესი: გოგოლის ქუჩა № 68.

მიხაილოვში

(ხაშურში) იყიდება ნახევარი სამი თვალი მაღაზიისა და სარდაფისა საუკეთესო ალაგზე. პირობები გაიგება სად. გომში. მ. გოგოტიშვილთან. ფულის ნახევარი მსურველთ შეუძლიათ იდროვონ 6 %. 5—2.

საჭირო

არის ჟურნალ-გაზეთებისათვის აგენტი დ. ზუგდიდში. პირობების გაგება შეიძლება თფილისში, ბორჯომის ქ. № 5, რუკოვიჩთან და დ. სამტრედიაში ვოგზალზე წიგნის შკაფში ც. კოპალეიშვილთან. (10—3)

დ. ჩოხატაურში

წიგნის მაღაზიაში

მიიღება ხელის მოწერა „მომავალზე“ და აგრეთვე ყოველგვარ ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებზე. გლეხი კაცის ისტორიაზე კი, მხოლოდ პირველ იანვრამდე. ვღებულობთ ამასთანავე ყოველგვარ სასტამბო და წიგნების ყდების „ზაკაზებს“. (10—2)

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჩოხატაური (გურია). სოფ. ასკანაში მოკლეს გურიაში კარგათ ცნობილი დათიკო შავარდნაძე.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13—14 დეკემბერი.

ოსმალეთი.

სალონიკი. მინისტრ სალადზიანის სპეციალური მატარებელი, რომელიც გუშინ მანასტირისკენ წავიდა, სადგურ კარაფერიისთან დრეზინას დაეჯახა, დრეზინაზე „ტიაგის“ უფროსი და ოთხი მუშა იჯდა. მოკვდა უფროსი და ორი მუშა. ორი მძიმეთ დაიჭრა.

საზღვარ-გარეთ

ნიუ-იორკი. გამომკვლევთა კლუბმა ერთხმათ დაადგინა გამორიცხოს თავის წრიდან კუკი, რადგან კომისიამ დაამტკიცა, რომ ის მაკ-კინლეის მთაზე არ ასულა.

ბრიუსელი. მინისტრებმა თავიანთი პორტფელები გადასცეს მეფეს. მეფემ დარჩენა სთხოვა.

პრაგა. ვენისკენ მიმავალი ჩქარი მატარებელი უსურსკის სადგურთან საქონლის მატარებელს დაეჯახა. მოკლულია 10, მძიმეთ დაჭრილი 28 მგზავრი. მრავალი მსუბუქათ.

ლისსაბონი. მეორე დღეა ოპორტოსთან მიმოსვლა შესწყდა. გრიგალმა დიდი ზარალი მიაყენა ქალაქს.

რუსეთი.

არხანგელსკი. აღმოაჩინეს ყალბი ფულის სახელოსნო. დაიჭირეს ორი კაცი.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ განიხილა სახელმწიფო დუმის წევრ პურიშკევიჩის მიერ კავკასიის ნამესტნიკის კანცელიარიის დირექტორის პეტერსონის ცილისწამების საქმე და დაადგინა: ითხოვოს მისის იმპერატორობითი უდიდებულესობის ნებართვა აღარ მიეცეს მსვლელობა პეტერსონის უმაღლეს საჩივარს და გამოეცხადოს მას, რომ მინისტრთა საბჭო არავითარ საწინააღმდეგოს არ ხედავს მის მოქმედებაში და ეთანხმება ნამესტნიკს მისი უმწიკვლო სამსახურის შესახებ. ხელმწიფე იმპერატორმა განიხილა მინისტრთა საბჭოს ჟურნალი და დაამტკიცა. ამასთანავე, პეტერსონის მოღვაწეობა უმწიკვლოთ სცნო.

პეტერბურგი. პოლკოვნიკ კარპოვის მკვლელი, როგორც მისი საბუთის ქაღალდებიდან აღმოჩნდა, სარატოვის სოფლის ყოფილი მასწავლებელი ალექსანდრე პეროვსკი არის.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭო. 12 დეკემბერს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე სხვათა შორის განიხილეს კანონ-პროექტი უბედურ შემთხვევის დროს მუშების დასაჩუქრების შესახებ. საბჭომ დიდი კამათის შემდეგ დაადგინა კანონ-პროექტი უკანვე დაუბრუნოს კომისიას.

პეტერბურგი. დუმის სახალხო განათლების კომისიამ მიიღო საყოველთაო განათლების შემოღების შესახებ კანონ-პროექტის მუხლები. კანონ-პროექტის ძალით ერობებმა, საზოგადოებებმა და სამოსწავლო საბჭოებმა სავალდებულოთ უნდა გახადონ სწავლება. 8—11 წლამდე ყველა ბავშვი ვალდებულია პირველ დაწყებით სასწავლებელში იაროს.

ხარკოვი. საგუბერნიო ერობამ 1910 წლისთვის სკოლების ასაშენებლათ გადასდო 298,000 მანათი.

სმოლენსკი. ცეცხლმა სრულიად გაანადგურა დუბინსკის ვოლოსტის სამმართველო, სასამართლოს შენობაში მოთავსებული იყო საკრედიტო ამხანაგობა და ფოსტის განყოფილება. დაიწვა ამხანაგობის საბუთის ქაღალდები და 1100 მანეთი ფული.

წერილები ლონდონიდან

(საკ. კორესპონდენტისაგან)

„ლორდთა პალატამ თავხედათ გადმოისროლა ჩვენსკენ ხელთათმანი და ჩვენც ვიღებთ მას!“—ასე დრტვინავს საერთოთ ასკვიტის ლიბერალური კაბინეტი. საჭიროა შევჩერდეთ ამ საგანზე ცოტა გულდასმით.

ლორდებმა არ შეიწყნარეს სათემო პალატის მიერ დიდის ჰაპან-წყვეტით შემუშავებული წლიური ბიუჯეტი. თავი ამოყო უცნაურმა და ინგლისელთათვის უჩვეულო სიტუაციამ. ინგლისელის უფლებრივი შემეცნება თხოულობს რომ ბიუჯეტი უსათუოთ დამტკიცებულ უნდა იქნეს პარლამენტისაგან, უამისოთ არც ერთი მოქალაქე არაა ვალდებული იხადოს რაიმე ხარკი სახელმწიფოს სასარგებლოთ. მას ძალას ვერ დაატანს ამ მხრივ ვერც ერთი დაწესებულება ან მოხელე. დიახ, ასეთ მტკიცე ნიადაგზეა აგებული ინგლისის პარლამენტარიზმი,—სადაა გასავალი?

უბიუჯეტოთ შეუძლებელია სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, ბიუჯეტი კი მიუღებელი დარჩა. ლორდთა პალატამ ისარგებლა ისეთი უფლებით, რომელიც იურიდიულ ლოღიკურათ თითქო ეკუთვნის მას, მაგრამ ფაქტიურათ იგი (უფლება) უხსოვარ დროიდან ჩამორთმეული ჰქონდა მას: ფინანსიური კანონ-პროექტი მხოლოთ ფორმალურათ იგზავნებოდა ლორდთა პალატაში, ფაქტიურათ კი, მის ბატონ-პატრონათ სათემო პალატა ითვლებოდა. ლორდთა მიერ ამ, ასე ვთქვათ, პლატონიურ უფლების გამოყენება ანუ მის ულმობელ ფაქტათ გადაქცევა ყველასაგან, და პირველ რიგზე, თვით მთავრობისაგან „დიდ ბრიტანიის წმინდა კონსტიტუციის ფეხ-ქვეშ გათელვათ“ იქნა აღიარებული. როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ კრიტიკულ მომენტში მთავრობა?—აი კითხვა, რომელიც გადაჭრას მოითხოვდა.

სათემო პალატის დათხოვნა და ახალი არჩევანების დანიშვნა—ასეთი იყო ერთი გასავალი, მაგრამ რამდენათ ხელსაყრელია იგი? თუ ლორდების ამა თუ იმ ნაბიჯით შესაძლოა სათემო პალატის დათხოვნა, მაშინ ხომ გაქარწყლდა ინგლისელთა ქებული პარლამენტარიზმი და აქედან მათი პოლიტიკურ-მოქალაქობრივი უფლებანი. მეორეს მხრით, მთავრობაც ხომ სათემო პალატის მკერდიდან ირჩევა, მაშ, ისიც უნდა გაქრეს უკანასკნელთან ერთათ, როცა ამას ლორდები მოისურვებენ. და ეს მით უმეტეს, რომ ინგლისში დაუწერელ ადათს იგივე ძალა აქვს, რაც დაწერილ კანონს. აქაური კონსტიტუცია მრავალ შემთხვევაში მარტოოდენ პრეცედენტებზეა დამყა-

რებული, ე. ი. თვითეული კონკრეტიული კითხვა წყდება ხშირათ მარტოოდენ წარსული პრაქტიკის მიხედვით. მაშასადამე, ლორდთა პალატას ვერავინ დაუშლის წრევანდელი ნაბიჯი ადათად აქციოს მომავალში. როგორც ხედავთ, არც ისე ადვილი ყოფილა სათემო პალატის დათხოვნა თვით უზომიერეს პოლიტიკოსთა თვალსაზრისით.

იყო მეორე გამოსავალიც. ეს ის, რომ სათემო პალატას და მთავრობას არ მიექცია ყურადღება ლორდთა პალატის „ვეტოზე“ და ბიუჯეტი დამტიცებულ-კანონიერათ გამოეცხადებიათ. თუ ლორდებმა დაარღვიეს კონსტიტუცია, მაშინ საჭიროა ის აღდგენილ იქნას, მაგრამ არა ასეთი გზით, რომელიც ჰბადებს მომავლისთვის საშიშარ პრეცედენტს. გამოდის, თითქო კიდევაც აჯილდოვებენ ლორდებს მათი თავხედობისთვის! მართალია, იურიდიულათ საჭიროა ფინანსიური ბილლიც ლორდთა პალატაში გავიდეს, მაგრამ ამ ფორმალიზმს ეკვეთება უტყუარი სინამდვილე, ეს ის, რომ ასეთ ბილლის დამტკიცება მხოლოდ და მარტო სათემო პალატისგან იყო დამტკიცებული აქამომდე. რომელს უნდა დაეთმოს უპირატესობა—ფორმალიზმს თუ სინამდვილეს? ამ კითხვაზე ერთად-ერთმა სოციალდემოკრატიულმა ორგანომ „ჯასტის“-მა გასცა შესაფერი პასუხი: ის გამოექომაგა სინამდვილეს და სათემო პალატის დათხოვნა კონსტიტუციისათვის სახიფათოთ აღიარა. როგორ მოიქცა მთავრობა, ეს უკვე იცის მკითხველმა: პრემიერმა უარყო ს. დ. ლიდერ ჰაიდმანის რჩევა, მან ასეთი ტაქტიკა რევოლიუციონურ ნაბიჯათ გამოაცხადა და პალატის დათხოვნა—არჩევანებს მიემხრო.

ჩემი პატარა წერილი თითქმის მარტო ამ „მშრალი“ საგნის გარჩევას მოუნდა, მაგრამ არ ვნანობ. ფაქტები უკვე ეცოდინება მკითხველს დეპეშებიდან, საჭიროა მათი განათება. ეს მით უმეტეს, რომ ინგლისის დღევანდელი პარლამენტარულ კრიზისის დედა-ძარღვი თვით ამ ორ პალატათა შორის ამტყდარ მეტოქობა-დავაში მდგომარეობს. ლიბერალურმა სამინისტრომ ვერც კი მოასწრო „გადმოსროლილი ხელთათმანის“ აღება, მას ჟრუანტელმა გაურბინა ტანში და დაიხია. ეს არაა კარგი ნიშანი. ლორდები ასე მსჯელობენ: წავაგეთ არჩევნები, მდგომარეობა უცვლელი რჩება, მაგრამ „პრეცედენტიც“ კაი საქმეა; მოვიგეთ არჩევნები, მაშინ „სახელითა ხალხისათა“ გავფცქვნით იმავე ხალხს და შევზღუდავთ მისგან არჩეულ სათემო პალატას... უეჭველია, ლორდებს რომ პირდაპირ უკუეგდოთ ბიუჯეტი და ხალხის სურვილისგან არ გაეხადათ ის დამოკიდებული, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ ლიბერალები დაადგებოდენ იმ გზას, რომელსაც ისინი დღეს რევოლიუციონურს ეძახიან, მაგრამ მოპირდაპირეთა ფანდმა ეს მათ გაუძნელა.

ასე თუ ისე, ჯერ მაინც არ ითქმის, რასაკვირველია, ვის ხვდება წილათ „ბოლოს სიცილი“ დღეს-დღეობით კი, მთელი ინგლისი ემზადება მომავალ განკითხვის დღისათვის, რომელიც დადგება ახალწლის დასაწყისში. პირველი შთაბეჭდილება, რომლებიც გამოიწვია ლორდების „ვეტომ“, მართლაც ძლიერი და მკვირცხლი იყო. ამაზე მე უკვე მოვიწერე.

ლორდთა წინაღმდეგ პირველი და უშესანიშნავესი ამოძახილი თვით დედაქალაქში, ლონდონში მოხდა. ეს იყო 4 დეკემბერს ახ. სტ. ცნობილ ტრაფალგერის სკვერზე. აქ შეიკრიბა 10 ათასზე მეტი ხალხი დემოკრატიულ ლიგის თაოსნობით. ტევა არ იყო, სულის-კვეთება აწეული იყო. დიდ უზარ-მაზარ დროშას ზედ ჰქონდა წარწერა: „მართველობა ხალხისგან და ხალხისთვის!“ სამიტინგო კითხვა ცალკე იყო გამოფენილი დიდი ასოებით: „ხალხი თუ ლორდები?“ ორატორთა რიცხვი ბევრი იყო, მაგრამ მათი სიტყვები მხოლოდ წინ მდგომთ ესმოდათ. იქით აქეთ კუთხეებში ქაქანებდენ სხვა ორატორები, მათი მსმენელნი უფრო მუშები იყვენ და ამიტომ აქ ხშირათ გიიგონებდით სოციალისტურ ჰანგებს. მათ ჰქონდათ ცალკე დროშაზე წარწერილი „მიწა უმიწოთ!“ ლორდებს აქ ქურდ-ბაცაცებს ეძახიან, რომელთაც წაართვეს ხალხს „ღვთისაგან მოცემული“ მიწა და ქადულობდენ მის უკან დაბრუნებას. საზოგადოთ, თვითეულ ორატორს და მის მოსწრებულ სიტყვებს გრგვინვით ეგებებოდა ხალხი. ერთ ადგილას გაეკეთებიათ ლორდის კარიკატურა და როცა მას ასწევდენ მაღლა ხალხის დასანახავათ, უკანასკნელი მორთავდა გააფთრებულ ღმუილს წყრომის ნიშნათ. მიიღეს შესაფერი რეზოლიუცია, რომელიც თხოულობს ლორდთა პალატის ალაგმვას. საინტერესო იყო სიმღერები, რომლებისთვის სახელდახელო ლექსები შეეთხზავთ და დაბეჭდილათ არიგებდენ. უფრო ხშირათ ის ლექსი გაისმოდა, რომელიც მიწების ჩამორთმევას ეხებოდა.

ეს მხოლოდ დასაწყისია... ა. ჩ.

ჟინიანობა თუ გაუგებრობა?

გაზეთ „დროებას“ ან არ უნდა გაიგოს ის, რაც ყველასათვის ცხადია, ანდა გაიგო, მაგრამ ჟინიანობს, არ უნდა გადაუხვიოს ერთხელ არჩეულ გზიდან. ის სიტყვას ბანზე აგდებს, კითხვას გვერდს უვლის და ლამობს კამათი სულ სხვა ნიადაგზე გადაიტანოს. ჩვენი წინადადება მარტივია: „საზოგადოების“ წევრებმა არ იციან რა მდგომარეობაშია „საზოგადოების“ ქონება, ამიტომ საჭიროა ყველა ქონების შემოწმება. ვის უნდა მოეხდინა ეს შემოწმება? ჩვენ მოვითხოვდით, რომ ეს შემოწმება მომხდარიყო საგანგებო კომისიის მიერ, გამგეობის გარეშე. ამის საბუთებიც გამოვიყვანეთ ჩვენს წერილებში. რით დაარღვია „დროებამ“ ეს ჩვენი საბუთები? თითქმის არაფრით. ის გვერდს უვლის ამ კითხვას და იმის მტკიცებას უნდება, რომ დღევანდელი გამგეობა არაფერ შუაშია, ის პირნათლათ იქცევა და სხ. „მომავალი“ სწერს „დრ.“ არ საზღვრავს სხვა და სხვა კოლეგიათა მოქმედებას და პასუხისმგებლობას, არამედ—ამ სხვა და სხვა კოლეგიათა მოქმედება ერთ კოლეგიის, დღევანდელ გამგეობის მოქმედებათ გამოაქვს.“

ახირებულია ღმერთმანი! Я про Ивана, а онъ про Петра. ჩვენ არაფერს არ ვამბობთ იმის შესახებ, თუ ვინაა დამნაშავე. ეს სულ სხვა კითხვაა. ჩვენ გვინდა გავიგოთ—არის თუ არა ჩვენი ქონება უკლებლათ. ეს შემოწმება ხომ ახალი გამგეების არჩევის იქითაც წავა? მაშასადამე, აქ ახალი თუ ძველი გამგეობის დანაშაულობის კვლევა-ძიებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ—ყველა ქონების შემოწმებაზე და აი, სწორეთ ასეთი შემოწმება გადასწყვეტს იმ კითხვასაც, თუ ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი ამა თუ იმა ზარალის, თუ უმოქმედობის შესახებ.

ასეთია ჩვენი აზრი და ამას მოითხოვს თვით საქმის ინტერესი; „დროება“ კი მოჰყოლია და სულ იმას ჩაგვჩიჩინებს: ეს გამგეობა უმანკოა, ეს გამგეობა არაფერ შუაშია, მას მადლობის მეტი არა ეთქმის რაო, მარა კითხვა, ვიმეორებთ, „საზოგადოების“ ქონების შემოწმებაშია და არა იმაში, თუ რომელი გამგეობა როგორია. „დროება“ კი მთელ ტყვიაწამალს ახალი გამგეობის დაცვაზე ხარჯავს. ეს არის კითხვის გვერდის ახვევა და აქ მეტი რომ არა ვთქვათ, ან გაუგებრობაა, „დროებ“-ის მხრით, ან და უბრალო ჟინიანობა.

„დროება თავისებური სიმამაცით ამბობს: „მომავალმა“ სიყალბე ჭეშმარიტებათ აქცია. საქმის ვითარების ახსნაში სიცრუე შეაპარა და ამ სიცრუის საშუალებით ცდილობს თავის აზრის დაცვასო.

ვინ აქცია ამ კამათში სიყალბე ჭეშმარიტებით, ვინ შეაპარა საქმის ვითარების ახსნაში სიცრუე და ამ სიცრუის საშუალებით შეეცადა თავის აზრის დაცვას, ეს ნათლათ დამტკიცდა კვირის კრებაზე. თავის საპასუხო წერილში „დროება“ სწერდა: გამგეობას ჯერ დანარჩენ ქონების (ბიბლიოთეკა მუზეუმის) რევიზია არ მოუხდენია. არ მოუხდენია იმიტომ, რომ ამ საქმისათვის შესაფერი შენობა არ აქვს. წიგნები გადმოალაგა პაწია ბინაში და მათი შემოწმება შეუძლებელიაო.

კვირის კრებაზე კი ბ. ყაზბეგის მოხსენებაში სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ ასეთი რევიზია უკვე მოახდინა გამგეობამო. როცა პ. ჭიჭინაძემ თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: თქვენ ამბობთ რევიზია ამ დარგებში მოვახდინეთო, ხოლო „დროება“ სწერს: გამგეობას ამ დარგში რევიზია არ მოუხდენიაო, ამაზე ბ. ყაზბეგმა განაცხადა: ჩვენ რევიზია მოვახდინეთ და გასწორებს თუ არა „დროება“ თავის შეცდომას, ეს რა ჩვენი საქმეაო.

ამ რიგათ, „დროების“ ცნობა (ეს ცნობა კი ჩვენს წინააღმდეგ საბუთათ მოჰყავს „დროება“-ს). გამგეობის რევიზიის შესახებ თვით ამავე გამგეობის თავმჯდომარემ ცრუ ცნობით გამოაცხადა.

აი, ასეთი ცრუ და ყალბი ცნობებით გვეკამათება „დროება“ და ამ ყალბი ცნობების ჭეშმარიტებათ ქცევით ლამობს ჩვენი აზრის გაბათილებას და თავისის გასაღებას.

ამ რიგათ, სიცრუე დავაში თვით „დროება-მ“ შეაპარა და მისი „საგმირო საქმე“ ჩვენ მოგვაწერა.

ამაზე იტყვიან: ჩემი შენ გითხარიო. ნუ თუ არ იცის „დროება“-მ,—თუ რა მოკლე ფეხები აბია ტყუილს!

გალიორკა.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი

რომელი ენა უფრო საჭიროა. სპარსულ გაზეთ „შარგში“ მოთავსებულია წერილი, რომელიც ეხება საკითხს, თუ რომელი უცხო ენა უფრო საჭიროა სპარსეთისათვის. გაზეთი ამბობს: „არსებობს უცხო ენა, რომელსაც საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს და ღირსიც არის შესწავლის, ეს ერის ფრანგული—როგორც სავაჭრო ენა. რუსულ ენას არც ერთი ჩამოთვლილი ღირსება და მნიშვნელობა არ მოეპოება და მისი შესწავლაც საჭირო არაა. პირიქით, რუსული ენის სწავლება ახალგაზდა შახის სასწავლო პროგრამიდანაც უნდა ამოშილოს, რადგან რუსული ენის შესწავლამ მიიყვანა მაჰომედ ალის ტახტის დაკარგვამდე და სპარსეთის ურიცხვ უბედურობამდე''. (,,ტ. ლ.'')

ოსმალეთი

საქმის გართულება საბერძნეთში. სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს სამხედრო მინისტრმა ლაპატიოდისმა საყვედური განუცხადა ტეოტოკის პარტიას, 10 წლის განმავლობაში საბერძნეთის საზღვაო და ხმელეთის სამხედრო ძალების განვითარებას ხელს უშლიდითო. ტეოტოკისმა მინისტრს განმარტება მოსთხოვა. მინისტრმა მკაცრი პასუხი გასცა, რამაც ტეოტოკისი და მისი მომხრენი იძულებული გახადა სხდომა დაეტოვებიათ. პრემიერმა მავრომიხალისმა სამხედრო მინისტრს სთხოვა ბოდიში მოეხადა ტეოტოკის წინაშე, რაზედაც უარი მიიღო. ტეოტოკისთან მეორე დღეს „სამხედრო ლიგას“ დეპუტაცია მივიდა და სთხოვა პარლამენტის სხდომებს დასწრებოდა. ტეოტოკისი თანახმა გახდა, მხოლოდ მისი მომხრენი წინააღმდეგნი შეიქნენ პარლამენტის სხდომებზე დასწრებისა და მოითხოვეს სამხედრო მინისტრის გადაყენება.

სამხედრო მინისტრი გადაყენებულ იქნა. მოსალოდნელია სერიოზული გართულება საქმეების, მოელიან ახალი მინისტრის დანიშვნას დიქტატორის უფლებებით. პროვინციებში დეპეშები დაგზავნეს და ჯარებს წინადადება მისცეს მზათ იყონ. მეფე გიორგის უთქვას, დიქტატურის გამოცხადებისათანავე საბერძნეთის საზღვრებს დავსტოვებო. დეპუტატებს შორის შეუწყვეტელი თათბირია. ინგლისის ელჩმა დამხმარე ესკადრა მოითხოვა იმ შემთხვევისათვის, თუ მეფე გიორგი საბერძნეთიდან გავიდა. (რ. ს.)

შორეული აღმოსავლეთი

,,ბერლ. ტაგებლ.'' აზრი. ,,ბერლინ. ტაგებლ.'' ეხება შორეულ აღმოსავლეთის საქმეების მდგომარეობას, აღნიშნავს განსხვავებას ოფიციალურ ცნობებსა და საქმის ნამდვილ მდგომარეობას შორის და მწუხარებას აცხადებს, რომ სახელმწიფო დუმას საშვალება არ ეძლევა შობამდე მოესმინა სინამდვილე მინისტრ იზვოლსკისაგან (,,რ. ს.'')

საზღვარ-გარეთ

კუკის საბუთების გასინჯვა. კოპენჰაგენიდან ,,რუსსკოე სლოვოს'' დეპეშით ატყობინებენ, რომ უნივერსიტეტს პროფესორებიდან შემდგარმა კომისიამ კუკის საბუთები განიხილა და დამტკიცებულათ ვერ სცნო კუკის მიერ პოლიუსის აღმოჩენა.

რუსეთი.

რუსეთ-ფინლიანდიის კომისიის უკანასკნელი სხდომა. 9 დეკემბერს მოხდა რუსეთ-ფინლიანდიის კომისიის უკანასკნელი სხდომა. რუსეთის და ფინლიანდიის წარმომადგენელნი ერთმანეთში ვერ შეთანხმდენ და კომისიამაც მოქმედება შესწყვიტა.

რამდენს იტაცებენ ინტენდანტები. ამ დღეებში გაირჩა ყაზანის საინტენდანტოს მოხელეთა საქმე. სასამართლოში გამოირკვა, რომ ჯამაგირი თითოეული მოხელესი 1,500 მანეთს არ აღემატება. ამის და მიუხედავათ, სახელმწიფო ბანკში ინტენდანტებს ქონიათ შეტანილი: ჩიჟოვს—37,201 მ., ილინს—18,590 მ., პოლტევსკის—118,287 მ., გაპონოვს—51,200 მ., გილიაროვსკის—52,494 მ., გილიაროვსკის ცოლს—20,000 მ., აგენოროვს—23,875 მ., აგენოროვის ცოლს—27,000 მ., აგენოროვის შვილს—9,000 მ. და სხვა... გარდა ამისა, პოლტევსკის ჩრდილოეთის ბანკში აღმოჩნდა 80,125 მ. პოლტევსკი წელიწადში 1,000 მანეთს იღებს ჯამაგირს.

საშინელი აფეთქება. 9 დეკემბერს, შუაღამისას შიშის თავზარი დაეცათ ვიბორგის მხარის (პეტერბურგში) მცხოვრებთ. სარატოვის ქუჩაზე, ერთ სახლში საშინელი სიძლიერით აფეთქდა ყუმბარა, რომელმაც ოთხ სართულიანი შენობა ჩამოანგრია, ძნელი ასაწერია ის მდგომარეობა, რომელშიაც ამ შენობაში დაბინადრებული მცხოვრებნი ჩავარდენ. ნახევრათ ტიტველი დედაკაცები ქუჩაზე გარბოდენ წივილ-კივილით, ბავშვებს ფანჯრებიდან ისროდენ. ყოველი მხრიდან მოისმოდა: „ცეცხლი, ვიწვით, გვიშველეთ“! მახლობელი ქუჩებიდან პოლიციელები დაუყონებლივ მოცვივდენ. დიდ-ძალი მაყურებელიც მოაწყდა, რომელნიც ცხენოსანმა პოლიციელთა რაზმმა ძლივს გაფანტა. ტელეფონით გამოიწვიეს პროკურორი. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა პეტერბურგ. გრადონაჩალნიკი და პეტ. საოლქო სასამ. პროკურორი. პოლიცია იმ ოთახში შევიდა, სადაც აფეთქება მოხდა. ოთახი ნამტვრევებათ იყო ავსილი. ჩამონგრეულ კედელში გაკვეტებული იყო უცნობი მოხუცებულის გახეთქილი თავი. მისი სხეულის სხვა ნაწილები ოთახში იყო აქეთიქით მობნეული. იქვე იტანჯებოდა საშინლათ დასახიჩრებული ახალგაზდა. პოლიციამ ოთახის დათვალიერება ვერც კი მოასწრო, რომ ნანგრევებიდან ორი ბრაუნინგით შეიარაღებული უცნობი გამოხტა და პოლიციელებს სროლა აუტეხა. პოლიციელებმა მას იარაღი ჩამოართვეს და დატუსაღებული საპოლიციო უბანში წაიყვანეს. მან თავის თავს მიხაილ ვოსკრესენსკი უწოდა. დანარჩენ კითხვაზე კი სრული უარი განაცხადა.

პურიშკევიჩის დეპეშა. პურიშკევიჩმა უნივერსიტეტის გახსნის გამო სარატოვის ქალაქის თავს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „ღრმათ ვწუხვარ, „კრამოლის“ გამავრცელებელ ახალი სასწავლებლის გახსნის გამოო“.

ახალი კანონი. ბარ. ა. ფ. მეიენდორფს, ოქტომბრისტთა ფრაქციის წინადადებით, კანონი შეუმუშავებია, რომელიც სასტიკათ სჯის დეპუტატებს დუმაში უწესოების მოხდენისათვის.

ტოლმაჩევის შეკითხვა. მოსკოვის უნივერსიტეტში ბროდსკის შვილი ყოფილა სტუდენტათ. ტოლმაჩევი უნივერსიტეტს შეეკითხა ბროდსკის საბუთებში მამის სახელი არონია თუ არკადიო. ტოლმაჩევს არ სურს, რომ ვინმეს ეჭვი შერჩეს ბროდსკის მიერ უკანონოთ სხვისი სახელის მითვისებაში.

წერილები სპარსეთიდან

19

ქალაქი თეირანი

დაშნაკცუტუნებმა საღამო გამართეს სინემატოგრაფის ზალაში. მთელ სპარსეთში ერთი თეატრიც არ არის! სომეხ-თათართა ინტელიგენტობა ბლომათ დაესწრო, რაც კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა, მით უმეტეს—ამ საღამოზე ბლომათ იყვენ სომხის მანდილოსნები. ამ საღამოს პირველათ ვხედავდი სპარსეთის საზოგადოებაში ქალებს—თითქო ისინი არ არსებობს აქ და მარტო მამაკაცებისაგან შესდგება ირანიო.

პირველათ სომხის ქალმა წაიკითხა ფარსულ ენაზე ლექსი. შემდეგ პოლიტიკურ თემაზე ილაპარაკეს თათრებ-სომხებმა და ბოლოს წარმოადგინეს ერთ მოქმედებიანი კომედია სპარსელ ქალვაჟთა სიყვარულის ცხოვრებიდან.

შინაარსი პიესისა: მიუხედავათ ქალების „ცხრა კლიტულში“ დამწყვდევისა, სპარსელი ქალ-ვაჟნი ახერხებენ ერთმანეთის შეყვარებას. ვაჟი ხშირათ მიდის ქალის სახლის ფანჯარასთან. როცა მშობლები ბაზარში მიდიან, ქალი აღებს ფანჯარას და ეალერსება. ერთ დღეს გათამამდენ ახალგაზდები ისე რომ ვაჟს კარებს გაუღებს ქალი მშობლების შინ არ ყოფნის დროს და როცა ალერსში არიან, დედ-მამა მოუსწრებს. ფანჯარიდან გადახტომა არ შეიძლებოდა სიმაღლის გამო. ვაჟი გადაფარებულ სტოლ ქვეშ შეიმალა. ვაჭარი მამა თავის ქალს არიგებს „სირცხვილი არაფერში აჭამოს“ და შემდეგ დაღლილს ეძინება იქვე ტახტზე. ვაჟი გამოძვრება და გაპარვის მაგიერ კვლავ განაგრძობს ალერსს, რაც ჩვენი აზრით არა ბუნებრივათ უნდა ჩაითვალოს. ამ დროს დედა მოდის და მამაც იღვიძებს. დგება ალიაქოთი და რომ ოჯახს „თავი არ მოეჭრას“ დედ-მამა ხელის მთხოვნელ ვაჟს ლოცავს.

რასაკვირველია, ხალხის ზნე-ჩვეულება, მათი სულიერი მდგომარეობის შესწავლა ძნელია, მარა ბევრი ალაგი პიესის მაინც დამახინჯებულათ ეჩვენა საზოგადოებას და ზოგიერთებმა თავი დამცირებულათ იცნეს. რაც უნდა იყოს, დიდი მადლობის ღირსია მოთავენი, რომ სხვის ენაზე წარმოდგენა გამართეს. შემდეგ იგალობა სომხის ქალთა წრემ და სკრიპკაზე დაუკრეს, რამაც ხალხი აღფრთოვანებაში მოიყვანა. ეს საღამო თავმდებია იმისი, რომ ამ ორ ერში ჩატეხილი ხიდი მთელდება.

18 ოქტომბერს საღამოს „ირანნოს“ რედაქციაში „რუსსკოე სლოვოს“ კორესპოდენტ ახალგაზდა ინტელიგენტ დაშნაკცაკანმა შემომჩივლა: თათრები ხმას ავრცელებენ, ვითომც ეფრემი ცუდათ იქცეოდეს, გარყვნილებას ეწეოდეს. მაგათ სიკეთე ვერ დავანახეთ. როცა აქ გადმოვედით კაზვინიდან, რაღაც ორასი—სამასი მანეთი გამოგვყვა ენჯუმენის და ეხლა წერილებით თავი მომაბეზრეს. ძლიერ ცუდი ხალხია. ჩვენ ყველაფერში არ ვამართლებთ რომელიმე მხარეს, მარა სწორეთ ამ მხარისთვის უნდა მიექცია პარტიას ყურადღება და თავისი წევრები ნაძალადევათ არ უნდა გამოეყვანა იმ როლში, რომლის შემწეობითაც რეაქციას შეეძლო ბნელ შეუგნებელ ხალხში სომხები იარაღათ ეხმარა. პარტიას აქ უნდა გამოეჩინა შორ-მჭვრეტელობა, რადგან სპარსეთის რევოლიუციით მეტის გაკეთება შეიძლებოდა მათდა სამშვიდობოთ.

19 ოქტომბერს დავათვალიერე აქაური ქარვასლების ბაზარი. თაღებით შეკრული და გადახურული სავაჭრო მაღაზიების სიგძე ზოგან ვერსია და ზოგან ნაკლები. სინათლე მაღლიდან ჩამოდის პატარა ჭრილებიდან. ვაჭრები მთელი დღე ფეხ-მოკეცილები სხედან თავიანთ პატარა სავაჭრო ოთახის წინ, რომელიც საპყრობილეს ჰგავს... მეორე რიგში ფეხსაცმელის მკერავებია. ერთ პატარა ოთახის მაგვარ თაღში ზის რამდენიმე ქარგალი პატარა ბავშვებით და წინ ხაზეინი უზის. არის გაცხარებული მუშაობა: ერთი ტყავს აბრტყელებს ქვაზე, მეორე კბილით ტყავს აჭიმავს, მესამე „კალაპოტში“ აწყობს წუღებს ათ საათამდე. ლამპებისაგან ხურდება სახელოსნო, მთელ ქარვასლაში დგება აყარებელი ხალხის მოძრაობისაგან მტვრის ბული და იწამლება ჰაერი. ბავშვები გაყვითლებულია, თვალები ჩაცვენილი აქვთ, წელში უკვე მოხრილი და შეშინებული გამოიცქირება მის პატარა თვალებიდან. აგერ მიეძინა პატარა წუღის მკერავ ბავშს და კედელს მიაწვა, თავს აქანებს. ხაზეინმა, ან უფროსმა ქარგალმა დასცხო ცხვირში წუღის კალაპოტი და ცხვირ-პირიდან სისხლმა ითქრიალა.

მუშაობის შემდეგ ხაზეინი მიდის სახლში. ქარგალ-ყმაწვილები სახელოსნოშივე ადიან პატარა კიბეზე და მაღლა ჩაჭერულ ფიცრულზე იძინებენ კონკებში, რომლებიც ეძლევიან სულიანა ხორციან ხაზეინ-ქარგლების გარყვნილებას...

საღამოს წაველი სავარჯიშო მოედანზე, სადაც აქ მოსამსახურე ინგლისელები „ჩაკუნს“ თამაშობდენ სათამაშო ტანისამოსში ლამაზათ გამოწყობილნი. ჩაკუნის თამაშობა გურიაში იცოდენ და მითამაშნია 1879 წ. 1890 წლამდე, ეხლა აღარ შეხვედრივარ ჩვენში ამ თამაშობას, მხოლოდ ინგლისელები კი თამაშობენ სწორეთ ისე, როგორც ჩვენში.

სპარსელი ხალხი და განსაკუთრებით ბავშვები განცვიფრებული შესცქერიან ამხელა კაცების „ჩაკუნის“ თამაშს, მარა ინგლისს სცალია დღეს „საჩაკუნოთ“, მხოლოდ ირანის დაბეჩავებულ ხალხს დღ-

დი შრომა და საუკუნე სჭირია მანამდე.

მეორე დღეს ვინახულეთ სადრულ-მამალიკი, რომელიც მოწვეულია ევროპიდან მინისტრ-პრეზიდენტის ალაგზე. ის ქალარა მოხუცია და კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. სწავლა ევროპაში აქვს მიღებული. მან გვთხოვა ხშირათ გვევლო მასთან და დასძინა: ჩვენ რთულ პირობებში გვიწევს მუშაობა, მარა იმედი გვაქვს საქმეს გავიტანთო!

საღამოს ვიყავით 30-მდე დეპუტატების კრებაზე, სადაც ს.-დ. პროგრამას არჩევდენ. ესენი თავის თავს ს.-დ. მომხრეთ აცხადებენ და თალიზადეს მეორე მოპირდარე ჯგუფს შეადგენენ. ესენი უკმაყოფილო არიან თალიზადეს მოქმედებით. საზოგადოთ, სპარსეთში, როცა რომელიმე პირის, ან ჯგუფის დაცემა უნდათ ხალხის თვალში, მათ არ შესწევთ მოქალაქეობა პირდაპირ დაგმობა, მათი პროგრამა-მოქმედენ, არამედ—პირში ელაქუცებიან ერთმანეთს და პირს უკან კი ავრცელებენ ჭორებს...

გლახა მგელაძე.

ახალი ამბები

◆ **კიევის უნივერსიტეტის სტუდენტები**, რიცხვით 10 კაცი, 16 სექტემბერს საექსკურსიოთ გამოემგზავრებიან კავკასიაში და ჩამოვლენ თფილისში. მათ ხელმძღვანელობს ხსენებული უნივერსიტეტის პროფესორი მ. რადოცკი. 20 იანვარს 1910 წ. ისევ კიევში დაბრუნდებიან.

◆ **ცირკულიარული განკარგულება.** უწმინდეს სინოდს ცირკულიარული განკარგულება მოუხდენია, რომ სახალხო სკოლებში უქმე დღეებში დიდ-მარხვაში და უქმე დღეების წინ დღითაც არავითარი წარმოდგენები არ იმართებოდეს. ეს განკარგულება არ შეეხება მხოლოდ მუსიკალურ სკოლებს და დრამატიულ კურსებს. თფილისის გუბერნატორმა ეს ცნობები უკვე დაუგზავნა პოლიცმეისტერს და მაზრის უფროსებს.

◆ **დ. ჩოხატაურიდან გვატყობინებენ**, რომ ათ დეკემბერს, ინსპექტორი მაჭავარიანისაგან ჩოხატაურის ორ-კლასიან სკოლამ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: ,,შეკრიბე ცნობები მღვდელიბისაგან ბავშვების რაოდენობისა, 8 წლიდან 11 წლამდე, შემდეგ საზოგადოებებში: ასკანა, ბასილეთი, ნანეიშვილის სეული, სურები, ფარცხმის, ერკეთის და ზემოხეთისა და გამოგზავნე დაუყოვნებლივ ეს ცნობები, საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებო".

◆ **ს. ციხიდან** (ოზურ. მაზ.) გვატყობინებენ, რომ იქიდან ოზურგეთს დაიბარეს და დაატუსაღეს რამდენიმე კაცი მიწის ბაჟის გადაუხდელობის გამო.

◆ **წიგნების ქურდობა.** თფილისის მოქალაქემ ა. ს. დოგბამიანცმა, რუსულ-სომხური ლექსიკონის ავტორ-გამომცემელმა პოლიციას განუცხადა, რომ მესტამბე მ. ი. მარტიროციანიდან, რომელსაც მან ხსენებულ წიგნების დაბეჭდვა შეუკვეთა, არ მიუღია 1000 ცალი წიგნი 8,000 მ ღირებული. ამ ბოლო დროს მან შენიშნა, რომ ეს ლექსიკონები ქალაქის ბევრს ადგილებში იყიდება. დოგბამიანცი ამტკიცებს, რომ ლექსიკონები მოიპარეს ხსენებულ მესტამბის მოსამსახურეებმა გ. და ი. აიაბეგოვებმა. პირველი მათგანი პოლიციამ შეიპყრო, მხოლოდ მეორე კი თფილისიდან გასულია და მის შესაპყრობათ პოლიციის მიერ ზომებია მიღებული.

◆ **შეპყრობა.** 13 დეკემბერს თფილისში პოლიციამ შეიპყრო ქ. თელავის მცხოვრები, ახლათ გაწვეული ჯარის კაცი კ. ნ. ბეგიჯანოვი, რომელიც ვარშავის სამხედრო ოლქში იყო გაგზავნილი და გზიდან გაიქცა.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს, 15 დეკემბერს, სახალხო სახლში ,,ესპერანტოს'' ენის ავტორის ზამენგოფის 50 წ. იუბილეის გამო გაიმართება წარმოდგენა ,,ესპერანტოს'' ენაზე.

◆ **ქართული თეატრი.** 15 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება ს. გლახაშვილის ახალი პიესა „წყურვილი" მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

◆ **თფ. სახელმწიფო ბანკის განყოფილება.** პეტერბურგის სახელმწიფო ბანკის საბჭოს დადგენილებით ხსენებული ბანკის განყოფილება კანტორათ იქნა გადაკეთებული.

◆ **ავაზაკებთან შეტაკება.** თელავიდან ,,კავკაზს'' ატყობინებენ, რომ იქ სოფელ ყურდღელაურში პოლიციასა და ავაზაკთა ბრბოს შორის შეტაკება მომხდარა. სროლის დროს მოუკლავთ ერთი დარაჯი. მოუკლავთ ერთი ავაზაკიც.

◆ **„ისტორიული საღამო"**. 29 დეკემბერს საზოგადოება ,,განათლება'' მართავს ,,ისტორიულ საღამოს'', სადაც აჩვენებენ სხვადასხვა ისტორიულ სურათებს საქართველოს ცხოვრებიდან, მეფე ირაკლი მე-2-ს ცხოვრებიდან და სხ. საღამოს გამგეთ არჩეულია თ. ვ. ა. ჭავჭავაძისა.

◆ **ნებადართული პიესები.** კავკასიის ნამესტნიკის მიერ ნებადართულია შემდეგი პიესები ადგილობრივ სცენაზე წარმოსადგენათ ქართულ ენაზე: „ბერი-სარდალი", დრამა 5 მოქ. დუტუ მეგრელისა და „დღენი ჩვენი ცხოვრებისა" სომხურ ენაზე, თარგ ტერ-გევონდიაცისა.

◆ **ქართველი ქალი** რუსუდან ნ. ნიკოლაძის ასული ქალთა უმაღლეს კურსების ქიმიურ კათედრის ასისენტათ აურჩევიათ პეტერბურგში.

◆ **წარმომადგენლები.** თფილისის საკომერციო სასწავლებლიდან ექიმთა სიეზდზე დასასწრებლათ მოსკოვში არჩეული არიან მასწავლებლები: ჟვარონი და კალიშევსკი.

◆ **35 წლის არსებობა თფ. ქალაქის თვითმართველობისა** 1910 წელს 1 იანვარს შესრულდება და ამ დღის აღსანიშნავათ ქალაქის გამგეობა მზადებას შესდგომია.

◆ **თფ. წმ. ნინოს სასწავლებლის** უფროსათ დაუნიშნავთ მელიქოვისა.

რუსეთი და იაპონია

„შორეულ აღმოსავლეთში საქმეების მდგომარეობა საშიშ ხასიათს არ კარგავს. იაპონიის დაჩქარებით სამხედრო მზადებაზე და ჩინეთის პოლიტიკურ გამოფხიზლებაზე ჟურნალ-გაზეთებში ყოველ დღე ახალ-ახალი ცნობები იბეჭდება, რომელსაც არა თუ არავინ არღვევს, პირიქით, საზღვარ გარეთულ პრესაში ამ ცნობებს კიდევაც ამტკიცებენ. მხოლოდ ერთი „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო'' სდუმს.

მთავრობას ოფიციალური განცხადების გამოქვეყნების შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში საქმეების მდგომარეობის შესახებ, სააგენტო დამშვიდდა და არც ერთ დეპეშას აღარ იძლევა, თუმცა საქმის ვითარება თანდათან საშიშ ხასიათს ღებულობს. შორეულ აღმოსავლეთის საქმეებს საშიშ მდგომარეობას მოწმობს ის გარემოებაც, რომ მემარჯვენეთა და ზოგიერთა გაზეთებმა გარეშე საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ გაილაშქრეს, რომელსაც შორეულ აღმოსავლეთის საქმეების ნამდვილ მდგომარეობის უცოდინარობაში სდებენ ბრალს. მართლაც, შორეულ აღმოსავლეთიდან მიღებული ცნობები, ყველა ხომ კორესპოდენტების უქმი ფანტაზიის ნაყოფი არ იქნება; რომ იაპონია იარაღს იძენს და აქტიური გამოსვლისათვის ემზადება—ეს ეჭვს გარეშეა. კითხვა მხოლოდ ისაა, ვის წინააღმდეგ ილესავს იაპონია კბილებს: რ-სეთის თუ სხვა რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ დღეებში გაკვრით იყო მოხსენებული, რომ იაპონიას განზრახვა აქვს ჩინეთის ხარჯზე თავისი სამფლობელო გააფართოვოსო. ეს ხმები ჯერ არ დამტკიცებულა ახალი ხმები გავრცელდა კორეიის მოსალოდნელი ანექსიის შესახებ. ეს უკანასკნელი უფრო შესაძლებელია. ოფიციალური პრესა არაფერს გადაჭრილს არ ამბობს კორეიის ანექსიის შესახებ. პორტ-სმუტის ხელშეკრულების მიხედვით, გარეშე საქმეთა სამინისტრო ფიქრობს, რომ იაპონია არავითარ ნაბიჯს არ გადადგამს კორეიის შესახებ წინასწარ მოლაპარაკების გაუმართავათ. რატომ გონია რუსეთის დიპლომატიას, რომ იაპონიის მთავრობა პორტ-სმუტის ხელშეკრულობას არ ულალატებს? იაპონიამ რომ ხვალ კორეიის ანექსია გამოაცხადოს,—შეუძლია რუსეთს ეს ანექსია არ იცნას? აი კითხვები, რომელიც რუსეთის საზოგადოებას აღელვებს და რომელზედაც პასუხს არ იძლევა არც ოფიციალური და არც კერძო ხასიათის ცნობები...

საჭირო ხდება ეჭვებზე მოსაზრების დამყარება... ეს კი თავიდან შეგვეძლო აგვეშორებია, რომ ოფიციალური ცნობები უფრო სრული და ნათელი იყოს...

ამას რუსეთის დიპლომატია არ შვრება და გზა და გზა კი პრესას სდებს ბრალს ამ „ხმაურობაში".

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იაპონიის მთავრობა სდუმს. მას რომ რაიმე ცნობები გამოექვეყნებია, ამისთანა მწვავე მდგომარეობას აღარ განვიცდიდით. ეს დუმილი საქმის სერიოზულ მდგომარეობს კიდევ უფრო ართულებს და ყოველგვარ ეჭვს უბადებს ადამიანს...

თუ იაპონია, მართლაც, არ მისდევს რაიმე აგრესიულ ზომებს, რუსეთის მთავრობის ოფიციალურ განცხადებაზე შორეულ აღმოსავლეთში საქმეების მდგომარეობის შესახებ, მასაც ხმა უნდა ამოეღო, მაგრამ ეს იმან არ ჩაიდინა, ამიტომაც რუსეთის საზოგადოებას საბუთი აქვს სერიოზული ანგარიში გაუწიოს ყველა იმ კერძო ცნობებს, რომელსაც შორეულ-აღმოსავლეთის შესახებ ღებულობს...

ამას უნდა დავუმატოთ ჩინელების გაუგებარი, გამომწვევეელი მოქმედება, რომელნიც რუსეთ-იაპონიისაგან მოითხოვენ, რომ „მომავალი ომის სამხედრო ასპარეზათ მანჯურია არ იქნას გადაქცეული". („რან. უტ".).

ექიმ ვასილ წერეთლის წერილის გამო

ბ. ვასილ წერეთელი მესხ-იმერისადმი თავის საპასუხო წერილში (იხილე „დროება" № 267) მეც მწვდა, როგორც ხმოსანს თავის უკბილო ირონიით. ბ. წერეთელი სწერს, ქუთაისელი მოამბე ჰგოდებსო: „ექიმები კეთილ-სინდისიერათ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას, მაშასადამე, საჭირო არ იყო, რომ, რაკი ერთ ექიმს ქირით დაიჭერდენ, ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ სხვა ექიმები აღარ გაირჯებოდენ და აღარ მიხედავდენ სამკურნალოს. ერთი ექიმისათვის კი შეუძლებელია აუარებელი ავათმყოფის ნახვა და დაკმაყოფილებაო. ამას ამტკიცებდა ერთი ხმოსანი ექიმიცაო (ნასარიძე?) და სხვ.". პირველი ფრაზის შენობა პირადათ მე ვერ გავიგე, მაგრამ თავი დავანებოთ სტილისტიურ მარგალიტების ალნუსხვას და ანალიზი ვუყოთ ბ. ექიმის მხოლოდ აზრებს. ბ. წერეთელი ცდილობს გაკიცხოს ის პოზიცია, რომელიც მე მეჭირა საბჭოში, როცა უფასო სამკურნალოსთვის ექიმის დაქირავების შესახებ აღიძრა კითხვა. მე კი საბჭოში შემდეგ აზრს ვიცავდი: „ან სულ არ დაექირავებიათ ექიმი, რადგანაც თუ ერთ ექიმს ჯამაგირს მისცემდენ, დანარჩენები უფასოთ რათ იმუშავებდენ და თუ მაინცდამაინც საბჭო ხარჯს არ მოერიდებოდა და თანახმათ ბ. ნაზაროვის წინადადებისა ექიმის დაქირავებას საჭიროთ იცნობდა, ხუთი თუმანი კი არ დაენიშნათ თვეში ამ ექიმისათვის, არამედ სრულიად უზრუნველ ეყოთ ის, რომ მას შესძლებოდა თავის მოვალეობის პირნათლათ შესრულება". თუ გსურთ ჩემი სიტყვები შეამოწმოთ, გადაათვალიერეთ საბჭოს ოქმები ამ კითხვის შესახებ. ვერ გამიგია, რაა ამ ჩემ სიტყვებში ყბად-ასაღები. ცოტა ქვევით ბ. წერეთელი ასე გამოთქვამს თავის აზრს: „რატომ უნდა აეღოთ ხელი სპეციალისტებს (იგულისხმე მუშაობაზე), თუ კი ქალაქი საკუთარ ექიმს დაიქირავებდაო". ჩემის აზრით ამის პასუხი უბრალოა. თუ ერთი ექიმის შრომა ფასდება, მეორე ექიმის ამნაირივე შრომა რატომ არ უნდა დაფასდეს. „რომელი სპეციალისტია ისე უსინიდისო, რომ გამებუტოს და სამკურნალოში არ იაროს „ჩემ ჯინაზე", ე. ი. პაწაწა ბავშვივით გული დასწყდეს, რატომ მეც არ მეძლევა ჯამაგირიო", აღშფოთებით მოგვითხრობს ბ. ვასილი. სწორეთ ბავშვის უაზრო ტიტინათ ჩაითვლებოდა ეს თქვენი ნათქვამი, შიგ რომ სიტყვა „უსინიდისო" არ ერიოს. ამისთანა ეპიტეტების ხმარება კი ბავშვის უმანკო ბუნებას არ ძალუძს. ბ. ვასილ! როცა უფასო სამკურნალოსათვის ექიმის დაქირავებაზე აღიძრა ლაპარაკი საბჭოში, მაშინ თქვენ, მგონი, ქუთაისში არც კი იყავით და თუ იყავით, მაშინ თქვენი ამ სამკურნალოში დანიშვნა აინუშშიაც არავის მოსვლია. მე მხოლოდ პრინციპიალურათ ვარჩევდი კითხვას და აბა, მაშინ რა ვიცოდი, თუ ოდესმე თქვენ დაინიშნებოდით ამ ადგილზე, ან „თქვენ ჯინაზე" ივლიდენ თუ არა ექიმები ამ სამკურნალოში. დასასრულ, მე არ დავიჩემებ, შეუცდომელი რომის პაპი ვარ-თქო. ის აზრები და შეხედულებები, რომელთაც მე საბჭოში ვიცავ, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ვინმეს შეხედულებით, შემცდარი იყოს, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე ვისიმე მიკერძებ-მოკერძებით არას დროს არ მიხელმძღვანელია და არც შემდეგში ვიხელმძღვანელებ ამა თუ იმ კითხვის გარჩევის დროს.

ხმოსანი გრ. ნასარიძე.

ქართველთა შორის წ.-კით. გამავრცელებელ საზოგადოების მეორე მორიგი კრება.

კრება გაიხსნა კვირას, 13 დეკემბერს, 12 საათზე. თავმჯდომარეობს გენერალი ყაზბეგი.

კრების გახსნის წინ გამგეობას გადაეცა განცხადება საწევრო ფულის შემცირების შესახებ, რომელზედაც ხელს აწერს 300-ზე მეტი მუშა.

მდივანი კითხულობს წარსული კრების ოქმებს. თავმჯდომარე: ვისაც სურს, შეუძლია ოქმებში შესწორება შეიტანოს.

ხარტიშვილი. ოქმში არ არის აღნიშნული ჩემი სიტყვები, რომელიც შეეხებოდა იოსებ მერკვილაძისაგან გადმოცემულ ფაქტს წერა-კითხვის საზოგადოებაში ნაპარევ წიგნების გაყიდვას „ბაზარში".

ი. რამიშვილი. ჩემ მიერ წარსულ კრებაზე შემოტანილი შესწორება შეიტანა თუ არა მდივანმა ოქმში?

თავმჯდომარე. გთხოვთ ვისაც რაიმე შესწორება სურს შემოიტანოს წერილობით წარმოადგინოს. ბატონებო, ბოდიშს ვიხდი, რომ ავათმყოფობის გამო ვერ დავესწარი წინა კრებას, რომელზედაც ჩემს ამხანაგებს, გამგეობის წევრებს საყვედური გამოუცხადეთ სხვა და სხვა მიზეზების გამო, რაც ძალიან საწყენათ დამრჩა. მე ჩემს აზრს, რომელიც იმ კრებაზე უნდა გამომეთქვა, აქვე წარმოგიდგენთ წერილობით.

მდივანი კითხულობს თავმჯდომარის მოხსენებას. (მოხსენების შინაარსს შემდეგ ნომერში მოვიყვანთ მოკლეთ).

თავმჯდ. მოხსენების მიზანი ის იყო, რომ მასალა გქონოდათ ხელში მოსალოდნელი კამათის დროს. შევუდგეთ ანგარიშის განხილვას.

ქიქინაძე. სასიამოვნოა, რომ რაც წარსულ კვირას უნდა მოგვესმინა, დღეს მაინც მოვისმინეთ. ვინაიდან აქ ოპოზიციაა ოპოზიციის წინააღმდეგ, ნება მოგვეცით, სანამ ანგარიშის განხილვას შევუდგებოდეთ, ახლა წაკითხულ მოხსენებას შევეხო.

თავმჯდ. თავმჯდომარეს არ შეუძლია კერძო ბაასი გამართოს თქვენთან...

პ. ქიქინაძე. კერძო ხასიათის ბაასი ის იქნება, როდესაც თქვენთან ბინაზე მოვალ და ლაპარაკს გაგიმართავთ. აქ კი საზოგადო კრებაზე მსურს საზოგადოების მიერ არჩეულ გამგეობის მოქმედებას შევეხო. როდესაც გასულ კრებაზე გამგეობის ანგარიშს შევეხეთ, აღვნიშნეთ ის ნაკლი, რომ არავის არ შეუძლია ანგარიშიდან გამოიტანოს ის, რაც საჭიროა. თქვენი დღევანდელი მოხსენება იმას გვიხსნის, რაც იქ, გამგეობის მოხსენებაში ბრჭყალებშია მოქცეული. მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია ოპოზიციისადმი საყვედური. თქვენ ამბობთ, რევიზია მოვახდინეთ, დანაშაულობა აღმოვაჩინეთ და იარაღი ხელში მოგეცითო. ჩვენ თანახმა ვართ, რომ გამგეობამ თავისი საქმე უფრო იცის, ვინემ გარეშე პირმა, ან „საზოგადოების" რომელიმე სხვა წევრმა, მაგრამ ჩვენ არ გვესმის ის მუქარა, რომლითაც გამგეობა მოგვმართავს. ჩვენ ვსთქვით, რომ, როგორც „საზოგადოების" ერთ დარგში აღმოჩნდა ნაკლი, ისე სხვა დარგებშიაც მოსალოდნელია დანაკლისის აღმოჩენა. თვით სარევიზიო კომისიას არ შეუსრულებია საზოგადო კრების დავალება, მას რევიზია არ მოუხდენია მუზეუმის, წიგნთ-საცავების და სხვა. ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვქონდა წინა კრებაზე მოგვეთხოვა საგანგებო კომისიის არჩევა, რომელიც ნათელს მოფენდა მას, რაც დღეს დაფარულია. ჩვენ არ გვესმის სიტყვები: რადგან გამგეობა უსასყიდლოთ მუშაობს, ანგარიშს ვერავინ მოგვთხოვსო. სად გაგონილა, ბატონებო, ასეთი ამბავი? ზოგან დეპუტატები უსასყიდლოთ ეწევიან მოღვაწეობას, მაგრამ ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ისინი ამით პასუხის მგებლობიდან თავისუფალნი არიან? რუსეთის საერობო თვითმართველობებში ხმოსნები უჯამაგიროთ შრომობენ, მაგრამ ამით ისინი განა პასუხისმგებლობას იცილებენ თავიდან? სრულიადაც არა. და ვინც წინააღმდეგს ფიქრობს, ძალიან სცდება. იქნება გამგეობას ჩვენ ისეთ მოკვდავებათ მივაჩნივართ, რომ ისიც ვეღარ გაგვიგია, თუ რა უფლები გვაქვს მონიჭებული წესდების ძალით? ნუ სწუხხართ, ბატონებო: ჩვენ ჩვენი უფლება კარგათ გვესმის და ვთხოვთ მომავალში ასეთი რამ აღარ გაიმეოროთ, რადგან ეს საზოგადო კრების შეურაცხყოფაა. ჯერ-ჯერობით ამით ვათავებ თავმჯდომარის მოხსენებაზე შენიშვნას...

დ. კარიჭაშვილი. აქ ამბობენ, რომ წიგნის მაღაზიაში მომხდარი ბოროტ-მოქმედების სიდიდე გვაფიქრებინებს, იქნება სხვა დარგებშიაც იყოს ბოროტ-მოქმედებაო. ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული კომისიაო. ეს არ არის მართალი. გამგეობამ თვითონ აღმოაჩინა ბოროტ-მოქმედება. ამავე გამგეობას შეუძლია სხვაგანაც მოახდინოს რევიზია და იქნება იქაც აღმოაჩინოს ნაკლი. ჩვენ რომ გვეთქვა სხვაგან არ არის ნაკლიო—სხვა იყო, თორემ გამგეობას ამისი საბუთი არ მოუცია. ჩვენ საზოგადოებას არ შეურაცხყოფთ და არც პასუხისმგებლობაზე ვამბობთ უარს, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ყოველი „საზოგადოების" წევრი, რომელიც უსასყიდლოთ მუშაობს, იმდენს შრომობს, იმდენ დროს მოახმარს საზოგადოების საქმეს, რამდენის ნებასაც კერძო საქმეები მისცემენ.

თავმჯდ. მე მგონია კითხვა გამორკვეულია. უკანასკნელ სიტყვას ვაძლევ რამიშვილს.

რამიშვილი. კარიჭაშვილის სიტყვები სიმართლეს მოკლებულია. გამგეობას მარტო არ აღმოუჩენია დანაკარგი.

თავმჯდომარე. საგანზე ილაპარაკეთ.

რამიშვილი. ოთხი წელიწადია, რაც ბოროტ-მოქმედებას ვიკვლევდით და კიდევაც აღმოვაჩინეთ: მე, სოსიკო მერკვილაძემ, ზ. ჭიჭინაძემ და სხვებმა. ჩვენ ამის შესახებ გამგეობის მდივანს კაცი გავუგზავნეთ, მაგრამ იმან ჩვენს განცხადებას ყურადღება არ მიაქცია.

თავმჯდ. ისტორია საჭირო არაა.

რამიშვილი. ჩვენ აღმოვაჩინეთ ქურდობა.

თავმჯდ. თქვენ სამსახურს მე არ ვუარვყოფ. რევიზიის დროს მოგიწვევთ ფაქტების მოსატანათ. საზოგადოებას წინადადებას ვაძლევ ანგარიშის მუხლობრივ განხილვას შეუდგეს.

მდივანი. ანგარიშის პირველი მუხლი გახლავს საზოგადოების წევრთა რიცხვის შესახებ.

პ. ქიქინაძე. პირველ მუხლში სწერია: 1908 საზოგადოებას ჰყავდა 511 წევრი. წლის განმავლობაში დააკლდა 513. გამოდის, რომ რაც ყოფილა, ისიც გასულა და კიდევ ორი საიდანაც გაუგლია. ამ სასწაულის ახსნა ძალიან საგულისხმიეროა. ხშირათ გვესმის ჩვენში, ქართველების საზოგადო საქმეებისადმი გულ-გრილობაზე ლაპარაკი, მაგრამ ამით დაყენებული კითხვა არ აიხსნება. ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ ჩვენი ხალხის უმრავლესობის სიღარიბეს და ხელმოკლეობას. შეუძლებელ ხალხის მასსას არ შეუძლია იმ საწევრო ფულის გადახდა, რომელიც „საზოგადოების" წესდებაშია დამტკიცებული. „საზოგადოებამ" ერთი ნაბიჯი უკვე გადადგა ამ მხრივ. მან საწევრო გადასახადი 6-დან 3 მ.-დე ჩამოიყვანა, მაგრამ წევრების დიდ ნაწილს 3 მანეთიც ვერ შემოუტანია. „საზოგადოების" წევრების რიცხვის დაკლების მიზეზი არის დიდი საწევრო გადასახადი. ეს მოვლენა აღინიშნა გასული წლის საზოგადო კრებაზედაც, რომელმაც გამგეობას დაავალა საწევრო ფული 3 მანეთიდან 1 მანეთამდე დაეყვანა. გამგეობას კი მოუხერხებლათ მიუჩნევია წესდების შეცვლა და მისი დამტკიცება. რა არის საზოგადო კრების დადგენილების აუსრულებლობის მიზეზი? ამის ანგარიშს გამგეობა არ იძლევა. საჭიროა კრებამ ხელახლა გამოიტანოს დადგენილება, რომ საწევრო გადასახადი შემცირებულ იქნას, თუ არ გინდათ, რომ „ქ. შ. წ. კ. საზოგადოება" კასტათ გადაიქცეს. თუ დღეს ცოტა წევრები გვყავს და 900 მანეთი შემოსავალი გვაქვს, საწევრო გადასახადის შემცირების შემდეგ წევრების რიცხვიც იმატებს და შემოსავალიც გადიდდება. მე წინადადებას ვაძლევ მანეთზე იქნას ჩამოყვანილი საწევრო გადასახადი.

ქ. ქავთარაძე. სამწუხარო ფაქტია, რომ საზოგადოებას 300 წევრის მეტი არ მოეპოვება. მიზეზათ ასახელებენ, ვითომ ქართველები ხელ-მოკლენი ვიყოთ. ეს აზრი არ არის მართალი. სახალხო უნივერსიტეტის საწევრო გადასახადიც ერთი მანეთია, მაგრამ ისიც სულს დაფავს. საწევრო გადასახადი 20 კაპ. რომ გახადოთ, საქმეს მაინც არაფერი ეშველება თუ სხვა გზას არ დაადგა საზოგადოება. თფილისში ყველას შეუძლია 3 მანეთის შემოტანა. მე ბევრი ვიცი ისეთი, ვითომდა ღარიბები, რომელნიც ერთ საღამოს ხარჯავენ 30—40 მანეთს. ნუ თუ მათ 3 მანეთის შემოტანა გაუჭირდათ? აქ მიზეზი სულ სხვაა. ეს გახლავთ ფულის აკრეფის მოუწესრიგებლობა. საჭიროა განსაკუთრებული ფულის ამკრეფელნი იყოლიოს „სა-

ზოგადოებამ“, როგორც ეს სოფლის გლეხებს აქვთ შემოღებული. ესენი ჩამოუვლიან წევრებს და საწევრო ფულს თავის დროზე შეკრებენ. „საზოგადოების“ დავალებით მე თვითონ ვცადე ის და სასურველი შედეგიც მივიღე. ორ დღეს 100 მანეთი შევაგროვე. თფილისში 5,000 კაცს შეუძლია საწევრო ფულის გადახდა. კაცი არ არის, რომ ფული შეაგროვოს. გამგეობას აზრათ აქვს მაღაზიაში ორი კაცი იყოლიოს. შეიძლება ერთ მათგანს ფულის აკრება დაევალოს. გარდა ამისა კარგი იქნება, რომ თფილისის ყოველ უბანში გამგეობამ დამხმარე წევრები იყოლიოს, რომლებთანაც მივლენ სხვა წევრები ფულის გადასახდელათ. მე არ ვეთანხმები იმ აზრს, ვითომ წევრების იცხვის შემცირების მიზეზი საწევრო ფულის სიდიდე იყოს.

ს. მაჭავარიანი. ჭიჭინაძის აზრი პატივსადებია. ჩვენი ხალხი ღარიბია. ყველას უნდა ქონდეს საშუალება „საზოგადოებაში“ ჩაწეროს. 1 მანეთი საწევრო გადასახადი კარგი იქნებოდა, მაგრამ დღეს დღეობით რამდენათ მოსახერხებელია წესდების რომელიმე მუხლის შეცვლა ეს სხვა კითხვაა. გასული წლის კრებაზედაც რამოდენიმე წევრმა განაცხადა საწევრო გადასახადის შემცირების სურვილი. მაგრამ ეს არ იკმარა. საჭიროა შემოღებულ იქნას წარმომადგენლობითი წესი პროვინციის განყოფილებებისათვის. საჭიროა მათაც მიეცეთ უფლება დელეგატები გამოგზავნონ საზოგადო კრებებში მონაწილეობის მისაღებათ. ამ წესის შემოღება 1 მანეთის შემოღებასთან ერთათ „საზოგადოებისათვის“ ძალიან სასარგებლო იქნება, თუ მთავრობა ნებას დაგვრთავს. მართალია ისიც, რომ ბევრი გამორიცხული წევრები წევრი მდიდარია, მაგრამ ფული კი არ შემოუტანია. ქართველურ დაუდევრობას აქაც ადგილი აქვს. არსებითათ, ვიმეორებ, წესდების შეცვლისა და დელეგატების დაწესების მომხრე ვარ, მაგრამ დღეს-დღეობით შეუძლებლათ მიმაჩნია წესდების შეცვლა.

ნ. თოთიბაძე. საწევრო გადასახადი ხელმოკლე ხალხისათვის დიდათ საყურადღებო კითხვაა. ბ. ქავთარაძე ფულის შეკრების წესის შეცვლას მოითხოვს, მაგრამ მარტო ეს ვერას უშველის „საზოგადოებას“, იყოს 1 მანეთი და ეს წესიც შემოიღეთ. მაჭავარიანი მომხრეა 1 მანეთის, მაგრამ დელეგაციების შემოღებას თხოულობს. შეიძლება მთავრობამ დელეგაციების შემოღების ნება არ მოგვცეს, მაგრამ საწევრო ფულის შემცირების წინააღმდეგი არ იქნება. გამგეობას არ უცნობებია—თუ სად დაარსდა „საზოგადოების“ განყოფილებები. მე კერძო ცნობებიდან ვიცი, რომ მთელი თვეები გავიდა, სანამ 30 წევრს შეიძინდენ ზოგიერთ ქალაქში წესდების დასამტკიცებლათ. მიზეზი—საწევრო ფულის სიდიდე გახლდათ. ოზურგეთიდან ამას წინათ გაზეთ „მომავალში“ სწერდენ, რომ თუ საწევრო ფული შემცირდება, საზოგადოების განყოფილებას რამდენიმე ასი წევრი მიემატებათ. მე ვამბობ, დღეს თუ 300 წევრი ჰყავს „საზოგადოებას“, საწევრო ფულის შემცირების შემდეგ 1,500—2,000 ეყოლება. ხალხის დემოკრატიული ნაწილი თავისათ იცნობს „საზოგადოებას“ და ეს გარემოება კი ხელს შეუწყობს საზოგადოების მოღვაწეობის გამოცოცხლებას.

(დასასრული იქნება).

პროვინცია

ფოთი. როგორც უკვე იყო აღნიშნული გაზეთებში, ფოთის განმანათლებელმა საზოგადოებამ მიმდინარე წლის შემოდგომიდან თავი დააღწია თავის ჩვეულებრივ უმოქმედობას და შეუდგა დასახულ მიზნების განხორციელებას. ჯერ-ჯერობით დიდ კუნძულზე გახსნეს მუშებისათვის საღამოს სკოლა, სადაც სწავლობს 75-მდე მუშა და ნოქარი. სკოლას შესაფერი ყურადღებით და ხალისით ეკიდებიან გან. საზ. გამგეობასთან ერთად მოსწავლენი და მასწავლებლებიც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლაში ნაკლებათ სჩანს მუშების ნაწილი (რუსის და რუსეთის სანავოსნო საზ. მუშები), რომელიც სკოლის გახსნამდე დიდს სურვილსაც აცხადებდა მეცადინეობაზე. საჭიროა მათაც ისარგებლონ სკოლით. სკოლის გარდა განმ. საზოგ. გამგეობა ფიქრობს ახლო მომავალში ლექციების მოწყობას და სხვა.

— ადგილობრივ აფთიაქის მაღაზიის პატრონმა ბ. ჩხეიძემ, რომელმაც თავი ისახელა აკრძალულ წამლების შემზადება გაყიდვით და ქალაქის აფთიაქისთვის საზიანო მოქმედებით, ამ დღეებში ხელით შეურაცყოფა მიაყენა ქალაქის აფთიაქის გამგეს ბ. კისსერს, რაზედაც პოლიციის მიერ ოქმია შეყენებული. როგორც გადმოგვცემენ, კისსერი სასამართლოში უჩივის მას.

— ამ ბოლო დროს მუშებში კვლავ ფეხი მოიკიდა ლოთობამ და კარტ-ნარდის თამაშმა. ყოველივე ამ საზიზღროებას სჩადიან ზოგიერთი ისეთებიც, რომლებსაც თავი შეგნებულათ მოაქვთ.

— ნავთ-სადგურის მუშები მუშაობის დროს დიდ შეწუხებას განიცდიან სასმელი წყლის უქონლობის გამო. ეს კითხვა ნავთ-სადგურის უფროსის მიერ აღძრული იყო ქალაქის გამგეობის წინაშე და მოითხოვდა მის სასურველათ გადაჭრას, თვით მუშებიც სთხოვენ, მარა ვერაფერმა ვერ აიძულა ჩვენი მამები ყურადღება მიექცია მუშების ამ აუცილებელ საჭიროებისათვის.

წერილი მოსკოვიდან

მოსკოვი რუსეთის გულია, სადაც მრავალი სახელმწიფო საზოგადო და კერძო დაწესებულებები სოკოსავით მოდებულია: მრავალი უმაღლესი, საშუალო და სხვადასხვა დარგის სასწავლებლები; სახალხო უნივერსიტეტები, მუშათა კლუბები, მუშათა კავშირები, სადაც კითხულობენ ლექციებს მუშა ხალხის გასაგებ ენაზე და არკვევენ ბევრ საჭირბოროტო კითხვებს, აგრეთვე მართავენ სახალხო წარმოდგენებს ხელმისაწვდომ ფასებში. ძლიერ დიდია მოთხოვნილება მუშებში განვითარების, მაგრამ აუარებელი დაბრკოლებანი ეღობებათ წინ. ახალი კანონის ძალით კრების ნებართვისათვის საჭიროა 75 კ. ღირების მარკა, რაც ისედაც ყოველ მხრივ შევიწროვებულ კავშირებს დიდ სიმძიმეთ დააწვება თავზე. ამას გარდა ყოველივე ოპოზიციური მიმდინარეობა (ეკონომ. ნიადაგზე) აგრეთვე პროგრესიული, შეუძლებლათ ხდის კავშირის არსებობას. ე. ი. კავშირის დახურვას მოასწავებს. ნოემბრის პირველ რიცხვებში აქ დახურეს 1-ლი საზ. სავაჭრო მოსამსახურეებისა, რომელსაც ფართოთ ქონდა ფეხი მოდგმული მოსკოვში, ბევრ ადგილას ქონდა გაღებული განყოფილებები, საჩაიები სასადილოები, აგრეთვე საზ. გახსნა საბუღალტერო საღამოს კურსები მდაბიო ხალხისათვის ხელმისაწვდენ ფასებში (წევრი 10 მ. არა წევრი 15 მ.), რომელიც დღესაც არსებობს და საკმაო მოსწავლენი ყავს. გული სიხარულით ამევსო, როცა დავითვალიერე სავაჭრო სოსამსახურეთა მთავარი განყოფილება დიუმნკაზე. უზარმაზარი შენობა, კარგი ბიბლიოთეკა, სცენა და მრავალი განყოფილება. წაკითხულ-გაგონილი მქონდა და არ მენახა მუშების ასე ფართოთ და კარგათ მოწყობილი მომქმედი ორგანიზაცია.

ხელზე მოსამსახურეთა საზოგადოებას, 5 ათასამდე წევრი ყავს, თავმჯდომარეთ არჩეულია ფრიად განვითარებული ვექილი—საზოგადო მოღვაწე რ. ვოსტრიაკოვი, რომელიც გამგეობასთან ერთათ განაგებს საზოგადოების საქმეს. ბევრი რამეს გაკეთება შეეძლო კავშირს სანამდის იარსებებდა, მაგრამ, სამწუხაროთ, გამგეობაში არჩეულთა უმეტესობაა „რუსთა კავშირის“ წევრებია. ამიტომ ყველანი გულგრილათ უცქერიან კავშირს და კავშირიც კრიზისს განიცდის. ამაში დამნაშავე თვითონ მუშები არიან. ისინი გულგრილათ უცქერიან კავშირს და თავის ბედ-იღბალს ისეთ ხალხს ანდობენ, როგორიც „რუსთა კავშირის“ წევრებია. ქართველი მოსამსახურეებიც ბრძანდებიან აქ, მაგრამ ისინი უფრო ქალებს ეტრფიან, ვიდრე თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას—ზნეობრივ და გონებრივ განვითარებას.

პირველი სახალხო უნივერსიტეტი, სადაც ყველას შეუძლია (სასწავ. ცენზ. არამქონეთ) მიიღონ განათლება, არის შანიავსკის უნივერსიტეტი, სადაც სისტემატიურათ კითხულობენ ლექციებს ყველა დარგის შეცნ. საუკეთესო პროფესორები. ამ დღეებში ქალაქის საბჭოს შავრაზმელმა ხმოსნებმა მოისურვეს სახ. უნივერსიტეტისთვის უფლებების შეზღუდვა და ქალაქის კასიდან მატერიალური დახმარების (წლ. 12,000 მ.) მოსპობა, უმეტესათ ის აღელვებდათ, რომ სახალხო უნივერსიტ. ლექციებს კითხულობენ ახალ ისტორიაზე, რაც, მათი აზრით, ხალხის გარყვნას მოასწავებს. ჯერ-ჯერობით ყველაფერი სახ. უნივ. სასარგებლოთ გადაწყდა.

მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ აქაური ქართველი ვაჭრები, ეს ურა-პატრიოტები ყოველ წრეს გადასულათ მოქმედობენ მაგ. რესტორანის პატრონი მენაბდე ნამდვილ ბატონ-ყმურ პირობებში ამუშავებს მოსამსახურეებს. უმიზეზოთ დათხოვნა, ქართველების მეტადრე, მისთვის ჩვეულებრივი ამბავია. ამას წინათ სრულიად უმიზეზოთ ქუჩაში გაისტუმრა ი. ჭანუყვაძე. მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, რა პირობები იქნება იქ, როცა „უპრავლიაიუშჩის“ ჯამაგირს მოსამსახურებს ახდევინებს. ძლიერ გასაკვირია ბ. გამგის, გურულ ინტელიგენტისაგან, მოსამსახურის სიმწრით და ოფლით ნაშოვნ ფულის მითვისება. ასეთივე შრომის პირობებია ავთანდილოვის რესტორანშიაც.

ამ დღეებში აქ გაიხსნა სომხების კლუბი, რომლის მიზანია გააცნონ უცხო ერებს ნაციონალური ავ-კარგი და გაავრცელონ სომხური ლიტერატურა.

„ქარიშხალი“.

უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ნაციონალური ბრძოლა ავსტრიაში.

ამ წინეთ ჩვენ მოხსენებული გვქონდა, თუ როგორ გამწვავებულია ეროვნული ბრძოლა ნემცებსა და ჩეხებს შორის ავსტრიაში. ბრძოლის უმთავრეს ასპარეზათ ითვლება პარლამენტი. ხშირათ პარლამენტში ნაციონალურ ნიადაგზე იმ ზომამდე მწვავდება ბრძოლა, ისეთ საშუალებებს მიმართავენ ხოლმე დეპუტატები, რომ პარლამენტის წესიერი მუშაობა ყოვლათ შეუძლებელი ხდება და საზოგადოთ, საქმის ასეთი გამწვავებით, პარლამენტის კრიზისიც აუცილებელი ხდება.

ამ მხრით მთელი ქვეყნის ყურადღებას იქცევდა ავსტრიის პარლამენტის მუშაობა ამ რამდენიმე კვირის წინათ. ნემცებსა და ჩეხებს შორის ამ უკანასკნელათ ბრძოლა სწარმოებს სამინისტროს გარშემო. ჩეხები მოითხოვენ იმდენივე წარმომადგენელნი ჰყავდეთ სამინისტროში, რამდენიც ნემცებს ჰყავთ. ამ მიზნით ისინი მოითხოვენ ეხლანდელი სამინისტროს გადაყენებას და ახალის შედგენას. ნემცები ამის წინააღმდეგნი არიან. სხვას რომ ვერას გახდენ ჩეხები, მიმართეს პარლამენტის სხდომების დროს ობსტრუქციის (არევ დარევის) გამართვას, რათა ასეთი ზომებით ხელი შეეშალათ მუშაობისათვის.

ობსტრუქციის მოსახდენათ ასეთ ხერხს მიმართავენ ჩეხები: იღებს ამა თუ იმ კითხვაზე ჩეხი დეპუტატი სიტყვას და ლაპარაკობს მანამ, სანამ დეპუტატების უმრავლესობას არ დაღალავს და სხდომას არ დაატოვებინებს. თუ კანონიერ რიცხვზე ნაკლები რიცხვი დარჩა დეპუტატებისა პარლამენტში, სხდომა უკანონოთ ითვლება და იხურება. თუ ასე მოეწყო საქმე—მიზანი აღსრულებულია, ობსტრუქცია ფაქტია. ასე მოიქცენ ჩეხები.

სხდომა შეუწყვეტლივ გაგრძელდა სამ დღე-ღამეს. ლაპარაკობდენ ჩეხი დეპუტატები. მაგ. დეპუტატმა კოტლარემა 13 საათი ილაპარაკა. მეორე დეპუტატი, მისი მეგვარე მოემზადა სალაპარაკოთ, შეაგროვა მასალები და აზრათ ჰქონდა ელაპარაკა არა ნაკლებ 18 საათისა. ვინაიდან ნემცებს არ სურდათ ეხლანდელი სამინისტროს გადაყენება, გადასწყვიტეს თუ გინდ რამდენიმე კვირის განმავლობაში გაგრძელებულიყო, სხდომები არ შეეწყვიტათ და „მოესმინათ“ ჩეხების ლაპარაკი, მარა პარლამენტის ასეთმა „მუშაობამ“ ქ. ვენის მცხოვრებლებზე ცუდი შაბეჭდილება მოახდინა. ქუჩებში სოციალისტურმა პარტიამ მუშათა დემონსტრაციები გამართა ობსტრუქციონისტების წინააღმდეგ; საწინააღმდეგო ხმები გაისმოდა აგრეთვე პარლამენტის გალერეიდან. პარლამენტის თავმჯდომარე ყოველთვის განკარგულებას ახდენდა, რომ გარეთ გაერეკათ ის პირნი, ვინც „მუშაობაზე“ ხელს უშლიდა პარლამენტს, რაც სისრულეში მოჰყავდათ, მარა ეჭვი არაა, პროტესტის ხმაში ხალხის აზრი იხატებოდა. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მოქმედება დიდ სახელს არ შეჰმატებდა სლავიანთა კავშირს და სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ იმავე სლავიანთა (ჩეხთა) კავშირმა დაბოლოს შეიტანა პარლამენტში საჩქარო წინადადება თავმჯდომარის უფლებების გაფართოვების შესახებ. ხსენებული წინადადებით თავმჯდომარეს უფლება ეძლევა ვადიანი წინადადებების განხილვა სხდომის ბოლოს გადაიტანოს. ხშირათ ვადიანი წინადადებები იმიტომ შეჰქონდათ, რომ ამით დღის წეს რიგში აღნიშნული კითხვების განხილვა გაეძნელებიათ; სანამ დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდენ, რამდენიმე სხდომა წინადადების განხილვისთვის მოუნდომებიათ და სხ. იმავე წინადადებით თავმჯდომარეს უფლება ეძლევა სამი სხდომიდან გააძევოს ის დეპუტატი, რომელიც შეურაცყოფს პალატის ღირსებას. ასე რომ, თავმჯდომარეს სრული უფლება ეძლევა თავისი მიხედულობით გააძევოს სხდომიდან ის დეპუტატი, რომელიც ურიგო სიტყვებს წამოისვრის ან სხვადასხვა გვარი მუსიკალური საკრავით შეეცდება არევ-დარევის მოხდენას.

როგორც ამბობენ, ჩეხებმა იმიტომ მიმართეს ასეთ საშვალებას, რომ დაემტკიცებიათ ყველასათვის: ჩვენ ობსტრუქცია სრულიადაც არ მიგვაჩნია ბრძოლის უმთავრეს საშუალებათო. ამასთანავე, მათ უნდოდათ ასეთი წინადადებით უთანხმოება გამოეწვიათ თვით ნემცეთა პარტიებს შორის, რომლებიც პარლამენტის „ნაკაზის“ შეცვლის წინააღმდეგნი იყვნენ, ვინაიდან—შესაძლოა ჩვენ (ნემცები) უმცირესობაში დავრჩეთ პარლამენტში და „ნაკაზის“ შეცვლით ობსტრუქციის მოხდენის საშვალება აღარ გვექნებაო. ამიტომ ნემცეთა ნაციონალისტურმა გაზეთებმა ერთი აურ-ზაური ასტეხეს: აფრთხილებდენ დეპუტატებს, რათა წინადადება არ მიეღოთ, ვინაიდან—როცა ჩვენ უმცირესობა ვიქნებით პარლამენტში, ყოველივე საშვალებას მოკლებული ვიქნებით თავის დასაცავათო. ამიტომ პირველათ ეგონათ, რომ ნემცები წინადადებას უარყოფდენ, მარა ეჭვი არ გამართლდა. პარლამენტმა მიიღო წინადადება და კიდევაც დაამტკიცა. ამ რიგათ, შესწყდა ობსტრუქციები და პარლამენტის მუშაობაც ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა....

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. კვირას, 13 დეკემბერს სახალხო სახლში ვ. ფ. კომისარჟევსკაიამ დადგა ოსტროვსკის 4 მოქმ. კომედია „დიკარკა“. წარმოდგენამ, რა თქმა უნდა შესანიშნავი ხელოვნებით ჩაიარა.

გამოჩნდა თუ არა სცენაზე ვ. კომისარჟევსკაია, დამსწრენი მხურვალე ტაშის ცემით მიეგებენ. პირველი მოქმედება რომ გათავდა, სცენაზე გამოვიდა ბ-ნი ხატისოვი ქ-ნ კომისარჟევსკაიას თაიგული მიართვა და ქალაქის თვითმართველობის სახელით მადლობა გადაუხადა.

წარმოდგენის გათავების შემდეგ მადლობა გადაუხადა აგრეთვე სახალხო უნივერსიტეტის სახელით ბ. ვასილ რცხილაძემ, წარმოდგენის მთელი შემოსავლის სახალხო უნივერსიტეტისთვის შეწირვისათვის.

სამწუხაროთ, ამ შესანიშნავ წარმოდგენას მუშები ძალიან ცოტა დაესწრო. როგორც გადმოგვცეს, ეს იმან გამოიწვია, რომ ცნობა კომისარჟევსკაიას სახალხო სახლში წარმოდგენის გამართვის შესახებ გვიან მიიღეს.

წარმოდგენა დაიწყო პირველის 15 წუთზე, გათავდა სამის ათ წუთზე [illegible]!

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

განცხადება

1910 წლის 1 იანვრიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„ფონ-ზე“

წლიურათ გაზეთი ეღირება 3 მან. 50 კ.
ნახევარი წლით — — — 2 მან. —
სამი თვით — — — — 1 მან. 20 კ.

ვინც 20 დეკემბრამდე მომავალი წლისთვის გამოიწერს გაზეთს, ყველა დეკემბრის №№ უფასოთ დაეთმობა.

ადრესი: **Кутаисъ, редакція „ПОНИ“, Балаханская ул. домъ № 37**

ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე ისიდორე კვიცარიძესთან. (5—2)

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლება“-ზე

(წელიწადი მესამე)

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა, ორიდან სამ ბეჭდურ თაბახამდის.

ხელის მომწერთათვის წლიურათ ჟურნალი ეღირება 3 მ., ნახევარი წლით 2 მ. გაგზავნით, სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი წლიურათ **ორ მანეთათ** დაეთმობათ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში.

ქალაქს გარეთიდან წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія, Л. Г. Боцвадзе

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

გამოვა 1910 წელს საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

წელიწადი მეექვსე, ხელის მოწერა მიიღება თფილისში:

„ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, 8) და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, (თავად-აზნაურობის ქარვასლა).

1910 წ. 1 იანვრიდან 1911 წ. 1 იანვრამდის მიეცემა ხელის მომწერლებს: 24 წიგნი მცირე წლოვანთათვის, 12 წიგნი მოზრდილთათვის. გარდა ამისა მიეცემა პრემიათ საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1) დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი.—ზღაპარი ევალდისა, 2) მარჯნები - ზღაპარი ევალდისა, 3) თორმეტი და— ზღაპარი ევალდისა, 4) ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე. ფასი ჟურნალისა:

წლიურად	5 მანეთი
ნახ. წლით ორივე გამოცემა .	3 მ.
საზღვარ-გარედ წლიურათ . .	7 მ.
ნახევარი წლით	4 მ.
მცირე წლოვანთ. 24 წიგნი . .	3 მ.
მოზრდილთათვის 12 წიგნი . .	3 მ.

რედაქტორი: მარიამ იგ. ასული დემურიასი.
გამომც.: თ. პავლე ი. თუმანიშვილი.
(5—2)

კვირეული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

საქართველოს მოამბე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის

ერთის წლის 4 მ. 50 კ., უცხოეთში 6 მან. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. რედაქციის ადრესი: **Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства.** ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნს: **Головинскій просп., д. Манташева, номера „Мухрани“ Семену *Кипіани*.**

ქ. ბათუმში

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის

მაღაზია

კ. ა. მაჭარაძის და კ. ა. ქეიშვილისა

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთული და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● **ფასები ხელმისაწდომია** ● ყველასთვის, რაშიც თითონ დაიწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს.
(0—6—10)

სტამბა ამხ. «შრომა» რუსის ქ., 3.